№ 12 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

სახალხო გაზეთი

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი. 1909 წ. ხუთშაბათი, 12 ნოემბერი.

რედაქციისაგან

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი უველგან 2 კაპ.
წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტაპბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, 1909 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად განახლების შემდეგ პიესა ბარეტისა

ახალი მოძღვრება

დრ. 5 მოქ. და 7 სურათად.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟ. თან.ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

გაიხსნა ტფილისის პერძოლ ახალი

სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ., ღღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—11 საათ.

სოგოლევსკი ბ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიქანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. ბ. მიკრ. ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (50—11)

ვ ო ბ ზ ლ ი ს

პერძოლ სამკურნალო

ბარედან ყოველ დღე მოსაარულე ავადმყოფთათვის.

ოგზდის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. ბოგმართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$11^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ დღ ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკლეეანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(50—11)

გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში

მიიღება ხელის მოწერა

Baton-ის წიგნზე:

„ერი და კაცობრიობა, განხილული სოციოლოგიურის მხრით“

დ:ახლოვებით 250—300 გვ. ✦ ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ.

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება

გამომცემელი მ. ხუციშვილი.

ბიურო ბაბალოვისა.

მთავრობის ნებართვით, დვორცოვის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლში № 6 (ეზო 8) გახსნილია **ბიურო საწერავ მაშინისა.** ყველა ენაზედ. ფასები ძლიერ ხელმისაწდომია. საქმის სწრაფად შესრულებაზედ, სისუფთავეზედ და გრამატიკულ მართლწერაზე მიქცეულია განსაკუთრებული ყურადღება.

იქვე იწერება ყველანაირი თხოვნები, საქმის ქაღალდები. პირობის წერილები, სააპელუნო ანგარიშები, კასაციისა და აპელიაციის საჩივრები, თხოვნები **უმაღლესს სახელმგაზედ** მისართმევად, გამოწერვ-გამოტანა გირავნობის მოწმობისა ყველა ბანკებისათვის უძრავ მამულისა

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე 2 საათამდე. ნაშუადღევის 3—7 საათამდე (10—5)

მიიღება ხელის მოწერა **ახალ ყოველ-დღიურ რუსულ გაზეთ**

„ნოვაია რეჩ“-ზე

ცალკე ნომერი—3 კაპ.

ხელის მოწერის ფასი 1 თვით 50 კ.

გაზეთი გამოდის 5 ნოემბრიდან.

ადრესი: Тифлисъ. Дворцовая, д. Груз. Дворянства. Ред. газ. „Новая Рѣчь“.

რედაქტ.-გამომც. **პ. ა. გოთუა.**

ორი კვირის კურსები.

ჩვენში მეტად ნელის ნაბიჯით ფეხს იკიდებს წვრილი სესხის დაწესებულება. მრავალ დაბრკოლებათა შორის უმთავრეს მიზეზად მიგვაჩნია გაუცნობლობა, არ ცოდნა წესდებისა და თვით საქმის წარმოებისა. ბევრს იქნება გაუგონია კიდეც ცოტა რამ წვრილ სესხზე, მაგრამ არ იცის, როგორ მოაწყოს საქმე, ვის მიმართოს ან რომელი წესდება მიიღოს სახელმძღვანელოდ.

საქმეს ადვილად ეშველება და დროც ბევრი არ დასჭირდება, რომ სოფლის მასწავლებელთათვის მომავალ დღესასწაულებში მოეწყოს კურსები, რომელზედაც მცოდნე პირი ორ კვირაში გააცნობს მათ საზოგადოდ კოოპერაციის საქმეს და კერძოდ წვრილ სესხის ამხანაგობას, შეასწავლის ფინანსების მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებას და საჭირო წიგნების წარმოებას.

საქმეს გაცნობილნი მასწავლებელნი უფრო შეგნებულად, გულმოდგინეთ და მეტის ხალისით მოეკიდებიან კოოპერაციების დაარსებას, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩარჩ-მოვახშეებისაგან გაძვალტყავებულ გლეხ-კაცობისათვის.

კურსების მოწყობა და ნება-რთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღება უნდა იტვირთოს ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ. მართალია ამავე გამგეობამ წარსულს ზაფხულს უარი მიიღო მასწავლებელთა კურსების გამართვაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრობა, ვფიქრობთ, დაბრკოლებას არ აღმოუჩენს, რადგან განზრახული ორი კვირის კურსებს კერძო, სპეციალური ხასიათი ექნება.

ტყეები დავიცვათ*)

ამ წერილის მიზანი იყო ხმა მიგვეწვდია ზოგიერთ სოფლის საზოგადოებისთვისაც და ყურადღება მიგვექცია შემდეგ გარემოებისთვის: პეტერბურგიდგან ჩვენში გამოგზავნილია ერთი დიდი მოხელე, სატყეო დეპარტამენტის ინსპექტორი ბ. ფოკი, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს კავკასიის სახაზინო ტყეების მდგომარეობა და სხვათა შორის იგი, ადგილობრივ ტყეების გამგეებთან ერთად, იკვლევს და ნუსხავს რაოდენობას იმ ადგილებისას, რომლებიც უნდა ჩამოეჭრას სალესნიჩოებს და დამატებითი ნადელებათ გარდაეცეს სახაზინო გლეხებს.

აქ საჭიროთ ვრაცხთ გავიხსენოთ, რომ სახაზინო გლეხებს, არსებულ კანონის ძალით, ეძლევათ ყოველ წლიურად სახაზინო ტყეებიდგან განსაზღვრული რაოდენობა საწვავ შეშისა და ზოგან საშენო ხეტყეც.

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 11.

ეხლა-კი განუზრახავთ პირდაპირ ტყიანი ნადელები ჩამოუჭრან. ჩვენ გვაღონებს ის გარემოება, რომ ჩვენებური გლეხკაცობა წესიერად ვერ მოიხმარს იმ ჩამონაჭერ ტყეებს, რომლებიც ახლო მომავალში უნდა მიეზომოთ. დაუდევრობით, უცოდინარობით და ერთმანეთის ჯიბრით, ერთ-ორ წელიწადში მთლად გაჩეხავენ, ამოაგდებენ ამ ერთხელ და სამუდამო სახმარებლად მიზომილ ტყეს და ხელში-კი შერჩებათ ხრიოკი ადგილები.

ტყის მოხმარებას თავისი კანონები აქვს, მეცნიერულად გამოკვლეული და პრაკტიკულად გამოცდილი.

ყოველ წლიურად ჩვენ ტყიდგან უნდა ვისარგებლოთ იმ რაოდენობით, რის მოცემაც შეუძლია ტყეს, რასაც იგი ყოველ წლიურად მატულობს. მაგ. ჩვენთვის საჭიროა საწვავ და საშენ მასალად იმ გვარი ხეტყე, რომელიც, ვსთქვათ, იზრდება 20 წლის განმავლობაში. ამ გვარ შემთხვევაში მთელი ის ნაჭერი ტყისა, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ, უნდა დაიყოს ოც თანაბარ ნაჭერად და ყოველ წლივ უნდა იკაფებოდეს მხოლოდ ერთი ნაჭერი და ამ გვარად, ვიდრე ბოლო, მეოცე, ნაჭრამდე მივიდოდეთ, პირველად გაკაფილ ადგილზედ უკვე წამოგვესწრება 19 წლის ახალი ტყე.

ამგვარად, ამოვარდნის მაგიერად, ტყეს გარდავაქცევთ სამუდამო წყაროთ. ასეთ წესს სარგებლობისას თქვენ შეხვდებით, სხვათა შორის, ბაქო-განჯის გუბერნიებში, სადაც რუსეთიდგან გადმოსახლებულნი სცხოვრობენ (განსაკუთრებით მალაკნები, სუბოტნიკები და სხ.) და რომელთაც მიზომილი აქვთ ტყიანი ნადელები.

ძალიან სასურველია, რომ ჩვენშიაც სოფლის საზოგადოებათ გადაეცემათ ტყეების ჩამონაჭრები, ყველას ნება არ უნდა მიეცეს როდესაც და რამდენიც უნდა ჰკაფოს უთავბოლოდ, არამედ სოფლის საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს თვის შორის რამდენიმე მცოდნე კაცი, რომელთა ხელმძღვანელობითაც, ყოველ წლიურად იკაფებოდეს განსაზღვრული ნაწილი ტყისა და მოთხოვნილებისადა კვალად რიგდებოდეს მოსახლეთა შორის. მომავალში ვეცდებით უფრო დაწვრილებით და გასაგებათ დაუბრუნდეთ ამ სოფლის საჭირბოროტო საკითხს...

გ. ახალციხელი.

ქალი ის არი.

ქალი ის არი, რომელიც
გულწრფელი, მხიარულია,
თავ-თავის დროზედ ვინც იცის
ჯდომა, თუ სიარულია.

—

ვინც კი არ ფლიდობს, ექნება
გრძნობით აღსავსე გულია,
ნამუსი, გამჭრიახობა,
ყველგან კეთილი სულია.

—

ქალი ის არის, რომელსაც
ჰქონდეს წყლიანი პირია,
არ უღალატოს მეუღლეს,
თუნდ შეხვდეს გასაჭირია.

—

ვინც ლხინში ლხინი იცოდეს
და ჭირში ქვა და კირია,
ვინც სახლობაში ამაოდ
უსაქმოდ არა ხირია.

ა. ყაზბეგი.

*
* *

შერცხვეს შენი სამართალი,
შენი მირონ ცხებულება,
შენი ფიქრი, მოაზრება,
შენი კანონ დებულება!

შერცხვეს შენი ანგარიში,
შენი ვეზირ—მსაჯულობა;
შენის სულის მოძრაობა
და გრძნობისა ურჯულობა!

შერცხვეს შენი ვაჟკაცობა,
გმირობა და რაინდობა;
შერცხვეს ვინც კი ქედს მოგიხრის,
ვინც თუნდ ერთ წუთს მოგენდობა.

შერცხვეს შენი შუბლის კანი,
შენის ერის წყობილობა;
შერცხვეს ყველა, ვინც ინდომოს,
შენთან ერთს დღეს ძმობილობა!

თქმა, გადათქმა როსკიპსავით
სივაჟკაცედ მიგიღია;
ბეჩავს სჩაგრავ და ამისთვის
თავი მაღლა აგიღია?

ოჰ! რეგვენო!.. სისხლთა ხანავ?
სისხლის კვალი გაგივლია?!.
და რაც ხელში უფლება გაქვს,
ისიც სულ მთლად ნადავლია!

შერცხვეს შენი სამართალი,
შენი მირონ ცხებულება;
შენი ფიქრი, მოაზრება,
შენი კანონთ დებულება!..

ალ. ყაზბეგი.

კორესპონდენცია

გურია. „უბედურ კაცს ქვა ადმართში მიეწიაო“ სწორეთ ეს სიტყვები ნათლად გვიხატავს გურიის გლეხ-კაცობ-

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე.

ხელშეკრულობის ძალით სოლომონი რჩებოდა იმერეთის მეფედ და მეფობა მემკვიდრეობით გადავიდოდა მის ჩამომავლობაზედ. უმაღლეს მფარველად იქნებოდა რუსთა ხელმწიფე, რომლის სიგელით განამტკიცდებოდა მეფის უფლება. რუსის ჯარი შევიდოდა იმერეთში ხალხის მტერთაგან დასაცველად. შინაური გამგებლობა ისევ მეფის ხელში ეკუთვნოდა. რუსეთისთვის იმერეთის შეერთება მეტად საჭირო იყო, რადგან რიონით ეხსნებოდა მას გზა შავი ზღვისკენ. მაგრამ მეფის მფარველობის ქვეშ შესვლა არ აკმაყოფილებდა ციციანოვის მისწრაფებას. სიკვდილმა უსწრო, თორემ ემუქრებოდა სოლომანს ძალით მის სამეფოს დაპერას, ვითომ იმიტომ, რომ მეფემ არ გაგზავნა ელჩები პეტერბურგის ხელმწიფის წინაშე მადლობის გამოსაცხადებლად. ციციანოვის განზრახვა აღსრულებაში მოიყვანა მისმა მოადგილემ. სოლომანის საქციელით არც ახალი მართებელი გრ. გუდოვიჩი იყო კმაყოფილი. მეფეც გულჩათხრობილი დარჩა. ლეჩხუმი მას არ დაუბრუნეს, მახლობელი პირნი ოსმალოსთან კავშირით დაახლოვებას ურჩევდნენ, მეტადრე სახლთხუცესი ზურაბ წერეთელის მოქმედება— რუსეთისკენაც და მეფის სასარგებლოთაც,—არყევდა მეფის მიერ გადაწყვეტილ გზის არჩევას. რაკი ორგულობა დასწამეს მეფეს, ციციანოვის მოადგილემ გრ. ფმა გუდოვიჩმა იმპერატორი ალექსანდრე პირველის ბრძანებით გაბედა სოლომანის ტახტიდან გადაყენება და იმერეთში დროებით მმართველობის დამყარება. ტფილისიდან გაგზავნეს ჯარით ორბელიანი, მეფე შეეპყრო და აღელვებული იმერეთი დაემშვიდებინა. ორბელიანი შეხვდა მეფეს ყვირილის პირას და მოლაპარაკება დაიწყეს. მეფემ შეთანხმების პირობად მოითხოვა ლეჩხუმის დაბრუნება და ქუთაისიდან რუსის ჯარის გაყვანა. თუ ამას ამისრულებთ, მაშინ გავგზავნი ელჩებს ქუთაისშიო.

ამ გარემოებაში დახვდა იმერეთი, როცა გუდოვიჩის მაგივრად მთავარმართებლად დაინიშნა ტორმასოვი. ზურაბ წერეთლის ჩაგონებით ტორმასოვმა მიჰმართა იმერეთის თავადაზნაურობას მეფე რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზედ მიექციათ. ამ მოწოდებამ ხალხი შექმნა მეფის შეუდრეკელ მომხრედ და თავდადებულ მცველად. მეფე ტყეს და კლდეს აფარებდა თავს, ქუთაისს ვერ ეკარებოდა, რომ რუსებს არ ჩაუვარდე ხელშიო. როცა მის წინააღმდეგ ჯარით წამოვიდა პოლკოვნიკი სიმონოვიჩი, მეფე კიდევ შეეცადა მოლაპარაკებას სამეფო ხელიდან არ წასვლოდა. რუსის ჯარმა დაიჭირა იმერეთის სიმაგრენი, აიღო მოდინახეს ციხე, სადაც გამაგრდა ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ეკატერინე და მიადგა ვარციხეს, სადაც თავს აფარებდა სოლომან მეფე. აქედან იგი წავიდა ხანის ხეობაში და შესუსტებული მოზღვავებული რუსის ჯარით, კვლავ შეუდგა მოლაპარაკებას რუსის მთავრობის წარმომადგენელთან რაკი ტორმასოვის შუამავლმა ჯვარზედ შეჰფიცა მეფეს, რომ იგი დატყვევებული არ იქნება, დასთანხმდა მთავარმართებელთან პირად მოსალაპარაკებლად წასულიყო. ასე გაიტყუეს მეფე გორისაკენ; რაკი მეფეს ტორმასოვმა არ სცა პატივი და დირბში არ ინახულა, სოლომანმა ოსეთში გაპარვა განიზრახა, მაგრამ 27 მარტს 1810 წ. მეფეს შეუტყეს ეს საიდუმლოება და გამოუცხადეს, რომ იგი ვითარცა „სახელოვანი ტყვე“ უნდა წაიყვანონ სოფ. ვაზიანში გენერალ ტორმასოვთან. მაგრამ გენერალმა მისი ნახვა აღარც ვაზიანში ინება და წამოაყვანა ტფილისს. თუმცა დარაჯები დაუყენეს მეფეს, მაგრამ 11 მაისს 1810 წელს მან მოახერხა ტფილისიდან გაპარვა ოსმალეთს და გადაიცვალა უშწეო, უნუგეშო და დამცირებული ტრაპიზონს 7 თებერვალს 1815 წ.

ა. ხახანაშვილი.

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 11.

ბას, როდესაც გადახედავ მათ უნუგეშო მდგომარეობას. იმ დროს, როდესაც ბურიის გლეხები მიდიან სამუშაოს ასაღებად, იმის მესამედსაც ვერ დებულობენ, რასაც წარსულ წლებში შოულობდნენ. ეი ამ დროს მათ გამოუვარდებათ ათასი ხიფათი; „ჭურდ-ბატატების“ თარეში „ბრალკატია“, „ურიდობები“ გადასახადების შესახებ და სხვა. ვიდოთ მაგალითად ს. ჯურუკეთი. ჯერ იყო და იქ ყანების თესვის დროს ეგზეკუცია ადგა, რამაც თითქმის ყველაფერი გაანადგურა. ახლა გადასახადების კრეფას შეუდგნენ, ასე რომ იქური გლეხები მეტად უნუგეშო პირობებშ არიან.

ს.ხვარბეთში წრეულს ზაფხულზე მოდეს ად. თოიძის ტოლი. ამაზე მაინ გლეხებს დიდი უბედურობა გადაწყდათ თავზე: ადმინისტრაციამ ეგზეკუციათ ემუქრებოდ, თუ მგზლელებს არ დმოაჩენდნენ. ხალხმა დიდი ვაივაგლახის შემდეგ, მისცა რამოდენიმე პირი, აგრამ ადმინისტრაციამ ესენი დამნაშედ ვერ იცნო, და გაანთავისუფლა. იმ როს სიქმე ასე გათავდა, მაგრამ დათ უბედურობას. ამას წინად აქ მოვიგენერალ გუბერნატორი, რომელმაც ამოუცხადა გლეხებს: „თუ ოქტომბრის ამდევამდინ არ ჩამაბარეთ მგზელი, ძულებული ვიქნები ეგზეკუცია ჩამოვნოვო. გლეხებმა ადრ იცოდნენ რა ნათ.

ამ მიზნით 25 ოქტომბერს ხვარბეს მამასახლისმა კაკაცოდლემ მოიწვია ბრიბა და გამოუცხადა: „ხომ გახგთ გუბერნატორის ბრძანება, ჩამაბათ თოიძის ტოლის მგზელები“. ხალხ სთხოვა მიეცა ნება, რომ აერჩიათ მისია და მასთან ერთად ემოქმედათ. ოგორც იყო მიიღეს ამის ნება, აირ ეს კომისია 24 კაცისაგან. ყოველ ე ურიდობა იყო, მთელი ხალხი იქ ამებდა, მშიერ-მწყურვალი იქ ეყარა. ოგორც იყო 30 ოქტომბერს გამოიდა შემდეგი: ამის ჩამდენი არიან: ბ, არ—ძე, 2) ს. მ—ვანიძე, 3) . ლოლუა, 4) მ. ა—შიძე, 5) მ. —ძე და გადავარდნილი ქარჩიდაძე.

ასზოგადოებამ შეადგინა ბრიგადორი კაცებზე და წარუდგინა მთავრობას. ერჩა თუ არა ასზოგადოება ეგზეკუციას ჩამოუენებას, ეს ჯერ გამოურკვევია. ვნახოთ როგორ წავა საქმე.

„გლეხის-შვილი“.

ძ. გ ო ლ ი

(ნოქარ შიგირდთა ცხოვრებიდგან).

დიდი სიცოცხლე, დიდი გონების ოფხიზლება დაეტყო აქაურ ნო-შეგირდებს. ამ სამი ოთხი წლის ათ, როდესაც განმათავისუფლეომა მოძრაობამ მოიცვა მთლათ ეთი და მის საზღვრებში მოსა, მონობაში სულის მლაფავი წვრი-ერები, უმზერდი და შენს თვალს უჯერებდი, რომ ის, ვინც გუ-თვის აღას ყურმოჭრილი მონა , მის სურვილ-ბრძანებათა უსიტყვო აღმასრულებელი, მამა-პაპურ მავნე ტრადიციების ბრმა-მონა, დღეს ის გამოიცვალა. დღეს მასაც შეეგნო თვის ადამიანობა, თვის მოვალეობა, შეეგნო, რომ მასაც, როგორც ყოველ არსს დიდებულ ბუნებისა, ჰქონდა სრული უფლება არსებობისა, უფლება თავის დაცვისა დაჩაგვრა-ყვლეფისაგან და კიდეც აღმაღლებინა ხმა თვის საუკუნოებით დამონავებელთ წინააღმდეგ. შეეგნო ისიც, რომ ამ მონურ მდგომარეობიდგან გამოსულს ერთად ერთი გზა იყო—სწავლა, შეგნება და კიდეც მიჰყო ხელი თვის დაჩლუნგებულ გონების ამოძრავებას. ნოქარ-შეგირდ-მუშები ბლომად დაიარებოდნენ სამკითხველოშიც, სახალხო უნივერსიტეტშიც, სადაც იმართებოდა იაფ-ფასიანი ლექციები, წარმოდგენები. ყველა ამის შედეგი მალე ყველასათვის თვალ' აჩინო შეიქმნა. გაიძვერობის, მტრობის, შურის, გარყვნილობის, ღალატის მაგიერ, რომელთაც აქნობამდის მათ შორის საპატიო ალაგი ეკავათ, პირველ რიგზე წამოყენებულ იქმნა სინიდისი, სხვის პიროვნების პატივისცემა, დაჩაგრულ მოძმისადმი თანაგრძნობა. თუ აქნობამდის სამიკიტნოები იყო სავსე სტუმრებით, რომელთა უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ, ეხლა სამაგიეროთ ბიბლიოთეკები, სახ. უნივ. დარბაზი გაივსნენ ხალხით, ნოქრებმა დაიარსეს პროფესიონალური კავშირიც. ამ კავშირს ჰქონდა თვისი ბიურო, რამდენიმე კაცისაგან შემდგარი, რომელიც აწესრიგებდა აღას და ნოქარს შორის ატეხილ დავას, კავშირის წევრებს იფარავდა დაჩაგვრისგან აღების მიერ, ეხმარებოდა უალაგოდ დარჩენილ წევრებს და სხვ. მაგრამ მალე სურათი შეიცვალა. შავბნელ რეაქციის ალში გაეხვია მთლათ რუსეთი და მის საზღვრებში მოსახლე წვრილი ერები და ყველა ეს, სამწუხაროდ, ისევე მალე გაჰქრა, როგორც მალე დაიბადა. შესწყდა საზოგადო მაჯის ცემა· ყველამ პირადი ინტერესი გაიხადა კერპათ. ინტელლიგენციამ (თუ არის აქ ნამდვილი ინტელიგენცია) ზურგი აღრიკა მუშობას; დაიხურა სამკითხველოები, დაცალიერდა სახალხო თეატრი, სახ. უნივერსიტეტმა ცოტა ხნის არსებობის შემდეგ შესწყვიტა თვისი მოქმედება; სამიკიტნო-ლუდხანები კვლავ გაიმსო მუშებით, ახალგაზდობით. დაქუცმაცდა და მერე სულ შესწყვიტა მოქმედება ნოქართა კავშირმაც, რომელმაც სულ ცოტა ხანში იმოდენა სარგებლობის მოტანა შესძლო; რეაქციამ ყველაფერს თვისი ულმობელი ბეჭედი დაასვა, ყველაფერი წუნწუხში ამოავლო, გასთელა , გაანადგურა, აღგავა პირისაგან ქვეყანისა და გამეფდა ისევ მონობა, პიროვნების ფეხქვეშ გათელვა, ისევ ტრობა, ისევ შური. ნოქარ-შეგირდები უარეს ყოფაში ჩაცვივდნენ.

ს. გრძელიშვილი.

(დასასრული იქნება)

„სახალხო გაზეთის“ რედაქციისაგან.

ჩვენი ქვეყნის აწინდელის მდგომარეობისა და მომავლის გამოსარკვევად საჭიროა უმთავრესად მისი ეკონომიუის მხრივ შესწავლა, ქონება-სიმდიდრის გათვალისწინება. ამ აზრით უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ჩვენს კორესპონდენტებს და ყველა იმას, ვისაც სამშობლოს სვე-ბედი აინტერესებს, დახმარება აღმოგვიჩინონ და ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე ცნობები მოგვაწოდონ. ნურვინ დაერიდება ნურც წერილის სიმცირეს, ნურც მართლწერას, ოღონდ-კი ცნობების ფაქტიური მხარე იყვეს ნამდვილი, უტყუარი. სხვებთან ერთად შეკრებილ ცნობებს თავს მოუყრით, შევიმუშავებთ და თავის დროზე გხმოვაქვეყნებთ.

1. სოფლის სახელი და მისი მდებარეობა.

2. მცხოვრებთა რიცხვი ეროვნებისა, წოდებისა და სქესის მიხედვით. დაბადებულთა და მიცვალებულთა რიცხვი წლისგანმავლობაში მეტრიკულ წიგნიდან.

3. რამდენი მამული აქვს თვითეულ კომლს საკუთარი, იჯარით ან საღალეთ აღებული და რა პირობებით· რამდენი, რა-და-რა საქონელი ჰყავს. მეურნეობის რომელი დარგი შეადგენს მცხოვრებთა უმთავრესს საღსარს.

4. გარდა სასოფლო მეურნეობისა, რა ხელობას ან შინა მრეწველობას მისდევენ სოფლელნი.

5. თვითეულ კომლის საერთო შემოსავალის რაოდენობა, ნაწარმოებით ან ფულად ნაანგარიშევი.

6. თვითეულ კომლის საერთო გასავალის რაოდენობა: ღალა, იჯარა, სახემწიფო და სასოფლო გადასახადი, ბეგარა, ეკლესიისა და სკოლის ხარჯი და სხ.

7. რას, რამდენს ჰყიდიან და ყიდულობენ მცხოვრებნი.

8. არის თუ არა სკოლა, ბიბლიოთეკა, საღამოს კურსები და ვინ განაგებს. რამდენად გავრცელებულია წერა-კითხვა, წიგნები, გაზეთები.

9. არსებობს თუ არა სამეურნეო, სავაჭრო ან წვრილი სესხის ამხანაგობა.

10. კორესპონდენტის საკუთარი დაკვირვებანი და საზოგადო მოსაზრებანი სოფლის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

რ უ ს ე თ ი

სამუშაო დღე ფინლიანდიაში. სატატო ქალაქს გაზეთების სიტყვით ფინლიანდიის სეიმს დაუკანონებია, ყველა ქარხნებსა და სავაჭრო დაწესებულებებში მუშებმა დღეში 8 საათი უნდა იმუშავონ, მცირე წლოვანთ 6 საათიო.

სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, ოდესაში 3, რიგაში 1. რეველში 2, სიმბირსკში 1, მინსკში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, დვინსკში 1, ვორონეჟში 2, ნოვოჩერკასკში 3 კაცი.

კოოპერაცია ანუ მწარმოებელთა ერთობა საზღვარ-გარეთ.

ამას წინათ საფრანგეთის უფროსმა მინისტრმა ბრიანმა პარლამენტში (იქაური სახელმწიფო სათათბიროა) გამოსთქვა აზრი, რომ ყოველ გვარ საქარხნო წარმოებაში, მოგება-ზარალში და მმართვა-გამგეობაში თან და თან მუშებიც გაჰხადონ მონაწილენი. ამით შემცირდება და შეიძლება სრულად მოისპოს უთანხმოება, რომელიც ახლა ხშირია მექარხნეთა და მუშათა შორის და აფერხებს წარმოებას. ინგლისის ზოგი-ერთ ქარხნებში განხორციელებულია ასეთი ერთობა და საქმეც კარგად მიდის.

—

უნგრეთის სამეწადო მოძქმედო სამინისტრომ საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა: იქ დაარსებულია 558 სარძეო ამხანაგობა, რომლებშიაც ირიცხება 59031 წევრი გლეხი. ამხანაგობა დიდძალ რძესა და კარაქს ჰყიდის ქალაქში.

—

13 ოქტომბერს პროფესორმა ვაგნერმა ქალთა საზოგადოებაში დიდი სიტყვა წარმოსთქვა მომხმარებელთა ამხანაგობის დაარსების საჭიროებაზე.

სახელმწიფო სათათბირო

ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.

მეთხუთმეტე სხდომაზე, 9 ნოემბერს, საყურადღებო არა მომხდარა რა. სიტყვა ბევრმა წარმოსთქვა, მაგრამ თითქმის ყველამ გაიმეორა წინად ნათქვამი.

ილაპარაკა კ. ჩხეიძემაც. იგი შეეხო იმას, რასაც წინა სხდომაზე შეეხნენ გაიდაროვი და ხას-მამედოვი, სახელდობრ ის, რომ სასამართლოს რეფორმა კავკასიაზე და სხვა განაპირა ქვეყანაზე არა ვრცელდება. ჩხეიძემ სთქვა; კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სასამართლოს რეფორმა ნაადრევია კავკასიისა, ციმბირისა და სხვა განაპირა კუთხებისათვის, რადგან ეს კუთხები შიდა რუსეთის 46 გუბერნიაში არ შედიანო, უმთავრეს მიზეზად ის არის დასახელებული, რომ კავკასია კურსკის ან სხვა გუბერნიაში არ არის. კომისია დიდ მნიშვნელობას აძლევს კავშირს მოსამართლისა და მცხოვრებთა შორის. სწორედ კავკასიაში არ არის ამათ შორის არავითარი კავშირი. ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი 1905 წლიდან სწერს პროექტებს კავკასიის რეფორმის შესახებ.

აქ თავმჯდომარემ ორატორს სიტყვა გააწყვეტინა—ეგ საქმეს არ შეეხებაო.

დეპეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

თავრიზი. თავრიზის ახლო-მახლო სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა. ყარადაღლები და შაჰსევანები თავრიზიდან 20—30 ვერსის მანძილზედ სცარცვავენ. რადგანაც სოფელ მუჟამბარს დიდი შიში მო-

ელის, ამიტომ გენერალ-გუბერნატორმა ამ სოფელში 300 ცხენოსანი გაგზავნა.

თეირანი. თუმცა სამინისტრო მეჯლისის გახსნის დღეს ფორმალურად სამსახურიდან გადადგა, მაგრამ მაინც იხილავს მიმდინარე საქმეებს. მეჯლისმა უკვე განიხილა დეპუტატების არჩევნების საქმეები. 7 ნოემბერს მეჯლისი პრეზიდიუმის არჩევანს შეუდგა. ელიან რომ მეჯლისი რეგენტის დამტკიცებას და ეხლანდელ სამინისტროს ნდობას გამოუცხადებს. სეფე სიტყვის ის ნაწილი, რომელიც რუსის ჯარს შეეხებოდა, უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებმა დანამდვილებით ვერ გადმოგვცეს. სეფე სიტყვაში ნათქვამი იყო: ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ ახლო მომავალში მოისპობა ის აღელვება და მწუხარება, რომელიც სპარსეთის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფო ჯარის ყოფნამ გამოიწვია. მთავრობა უკვე შეუდგა მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოებთან და იმედია, რომ მოლაპარაკება ჩვენ სასარგებლოდ დაბოლოვდებაო.

პეტერბურგი. უნივერსიტეტების სტუდენტებმა კრება გამართეს. რექტორს ნება არ დაურთავს. პროორექტორის დარიგებამ არ გასჭრა. ამის შემდეგ უნივერსიტეტში დაიბარეს პოლიციელები. სტუდენტებმა კრება დაშალეს. კრებას უნდა განეხილა პროფესორთა დისციპლინურ სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ სასამართლომ განიხილა ფერეროს სიკვდილით დასჯის გამო საპროტესტო კრების მომწვევთა საქმე და სამი სტუდენტი სტუდენტობიდან ჩამოაყენეს და თავისუფალ-მსმენელად ჩარიცხა.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი: 1) ფინლიანდიის სახელმწიფო დაწესებულებებს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზღვარ-გარედ საერთაშორისო კრებებსა და პოლიტიკურ ხასიათის დღესასწაულებებში; 2) ფინლიანდიის მოქალაქეებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ისეთ საერთაშორისო კრებებში რომლებსაც პოლიტიკური ხასიათი არა აქვთ, იმ პირობით კი, რომ კრებებს უნდა დაესწრნენ, როგორც კერძო ასოციაციების და დაწესებულებების, წარმომადგენლები, ან როგორც კერძო პირები; 3) იმ შემთხვევაში თუ მთავრობა საჭიროდ დაინახავს ამა თუ იმ საერთაშორისო კრებაზე ფინლიანდიის სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებიც გაგზავნოს, მაშინ ეს წარმომადგენელნი რუსეთის დელეგაციაში შედიან. თუ რუსეთი თავის წარმომადგენლებს არ გზავნის, ფინლიანდიის სახელმწიფო დაწესებულებებს ეკრძალებათ წარმომადგენლების გაგზავნა; 4) ფინლიანდიის ამა თუ იმ დაწესებულებამ საზღვარ-გარეთის ამგვარსავე დაწესებულებასთან მიწერმოწერა და სხვა საქმე რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის შემწეობით უნდა იქონიოს.

პეტერბურგი. 9 ნოემბერს, საღამოთი უცნობი ახალგაზრდა თავს დაეცა ქალაქის ლომბარდის კასირს, რომელსაც დღიური შემოსავალი მიჰქონდა. უცნობმა კასირს თავში ჩაქუჩი დაარტყა, წააქცია, წაართვა ფული და გაიქცა, მაგრამ მეარტელეებმა, მეეზოვეებმა და დარაჯებმა დააპატიმრეს. უცნობი უმუშავარი აღმოჩნდა.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 1, ავად არის 90 კაცი.

ხერსონი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ალექსანდროვის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ გაზეთი „ბაკუ“ სწერს; „სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ 16 ნოემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სამხედრო წესები მოიხსნება. რკინის გზის უფროსი გენერალ-მაიორი ნეიგებაუერი ოდესაში ბრიგადის უფროსად დაინიშნება, ხოლო იმის ადგილს აძლევენ ინჟენერ აკორენკოს, რომელმაც 7 ნოემბერს, ტფილისში მიმავალმა, ბაქოზე გაიარა“. აკორენკო წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მსახურებდა.

◆ 6 ნოემბერს საღამოთი ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში მომხდარა შეერთებული სხდომა ამ ბანკის გამგეობისა და საადგილ-მამულო კომისიისა. სხდომას დაუდგენია, ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობა გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიას.

◆ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში წელს თითქმის ყველგან მოუსავლობაა. მოსალოდნელია დიდი შიმშილობა. ამის გამო ნამესტნიკის კანცელარიას წინადადება მიუცია საგუბერნიო და სამაზრო მოხელეთათვის, განსაკუთრებულ კომისიების საშუალებით გამოარკვიონ ამ გუბერნიების მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა. შეაგროვონ ცნობები მოუსავლობის შესახებ და რაც შეიძლება მალე წარუდგინონ ხსენებულ კანცელარიას.

◆ კვირას, 8 ნოემბერს, ახალი რუსული ყოველ დღიური გაზეთი გამოვიდა ტფილისში სახელად „нашъ край“ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ვლ. ბ. თავართქილაძეა.

◆ სამართალში მისცეს ორსულებს, ქორწინების და სხვა ზოგიერთ კასის გამგენი, რომელნიც ხალხს ატყუებდნენ და ფულს ართმევდნენ. ეხლა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი პრიკლონსკი ტფ. ოლქის სასამართლოს სადგომში იწვევს წევრებს შემდეგ კასებისას: თელავის ორსულების კასისას, შალაურისა და თელავის (პირველ) ქორწინების კასებისას. ესენი გამომძიებელთან უნდა გამოცხადდნენ არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. მათ ჩვენებას ჩამოართმენ კასსების გამგეთა მოქმედების შესახებ.

◆ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელ ქალებს გადაუწყვეტია ისარგებლონ საშობაო დღესასწაულებით და საექსკურსიოდ წავიდნენ პეტერბუგს. განზრახული აქვთ დეკემბერს წავიდნენ, ხოლო იქიდან დაბრუნდნენ 9 იანვარს.

◆ 9 ნოემბერს მეოთხე საპოლიციო უბანში დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი, ხოლო მეცხრე უბანში 10 კაცი.

◆ ოქტომბრის განმავლობაში ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ სამკითხველოდან წასაკითხავად გაუტანიათ სულ 4136 წიგნი: ბელეტრისტული—2206 წიგნი, კრიტიკული—1503 წიგნი, საბავშვო—1272 წიგნი და ფილოსოფიური—146 წიგნი.

◆ 9 ნოემბერს მღვდელ ნასარიძის ქალი ბარბარე მისულა თავის ნაცნობ კალანდაძის ბინაზე ბელინსკის ქუჩაზე და დაულევია ნიშადურის სპირტი. ნასარიძე წაუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲘᲠᲩᲘ.

სამი დღის განმავლობაში სამუშაოს საშოვნელად

	გამოვიდნენ:		იშოვნეს.
მუშა	921	—	283
დურგალი	44	—	23
კალატოზი	75	—	37
მომკირწყლავი	52	—	28
მეჟესტე	94	—	46
მხატვარი	29	—	18
მებუხრე	23	—	—
იატაკის გამწმენდი	22	—	15

რედაქტორ გამომცემელი
ᲓᲐᲠᲘᲐ ᲮᲠᲐᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაშია

პირველი კავკასიის სტენოგრაფიული კურსები

თ. აკოფიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპ., № 53.

შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სქესისა.

სტენოგრაფია ხელოვნებაა ისეთივე ჩქარის წერისა, როგორც ლაპარაკი. იგი საჭიროა ყოველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 23 ოქტომბერს ამა წლისა მიიდებიან სადამოს 4—7½ საათ. პროგრამა, პირობები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების სადგომში კურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი. (10—10)

ᲐᲚᲛᲔᲖᲐ.

ალმეზა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებება შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საეურადღებოთ ციებ-ცხელებით აკათმეოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებასა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედი. კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის ტ. ძეგლის. მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.

Контора и складъ „Т“. Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.
(50—8)

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲒᲣᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡᲐ“ ოლგინის და სლეპკოვის კუთხე № 1.